ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №27

ქ. თბილისი 18 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ **სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმეს თემის №1 საჯარო სკოლა** მისი დირექტორის ფაფიმა ჟანგელიას სახით (შემდგომში – შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ჩვენი სკოლა"**, მისი დირექტორის **კობა სამხარაძის** სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველისთვის სასკოლო დოკუმენტაციის მიწოდება; CPV (22817000)

1.2 შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, მოცემულია ცხრილში:

დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	სულ თანხა
მოსწავლის პირადი საქმე	1,5	23	34.5
დირექტორის პორტფოლიო	4,8	1	4.8
კათედრის პორტფოლიო	4,2	6	25.2
დამრიგებლის პორტფოლიო	4	24	96

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 160,50 (ასსამოცი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3. საქონლის დოკუმენტაციის, სასაქონლო ზედნადების და/ან სათანადო ინვოისის წარმოდგენა საქონლის დასახელებისა და ფასის მითითებით.

4.4. საქონლის მიწოდების თარიღია - ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1.შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

9.1. შემსყიდველი: **სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმეს თემის №1 საჯარო სკოლა**
იურიდიული მისამართი: ჩხოროწყუ, ხაბუმე
საიდენტიფიკაციო #: 242263554
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. GE96LB0121132606489000
ეიბანი ბანკის ჩხოროწყის ფილიალი

9.2.მიმწოდებელი: **შ.პ.ს. „ჩვენი სკოლა“**
იურიდიული მისამართი: **ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #7**
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: + **995 77 15 33 88**
ელ–ფოსტა: **chveniskola2014@gmail.com**
საიდენტიფიკაციო # **405017431**
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკის" (საბურთალოს ფილიალი) ანგ# **GE16TB75 4453 6020 1000 03**
ბანკის კოდი: TBCBGE 22

10. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი კ. სამხარაძე